

ილია პაჭკორია

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

## ტექსტის ინტერპრეტაციის ზოგიერთი თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემა

ტექსტის ფენომენი თვით სამყაროს დასაწყისის სწვდება: ღმერთმა სიტყვით შექმნა სამყარო, ღვთისაგან წარმოთქმულმა ტექსტმა არარსებობიდან არსებობაში შემოიყვანა იგი. როდესაც ღმერთმა პირველი სიტყვები, პირველი ზეპირი ტექსტი უთხრა ადამს, მაშინ პირველად მოხდა ადამიანის მიერ ტექსტის ინტერპრეტაცია.

ბიბლიური ჰერმენევტიკის მიზანია ბიბლიის ტექსტში გაცხადებული ჭეშმარიტების სწორად გააზრება, ლიტერატურული ჰერმენევტიკა კი ცდილობს მხატვრული ტექსტის დამატურებელ ინტერპრეტირებას სხვადასხვა ფარდობითი მეთოდითა და კრიტერიუმით, როგორცაა, უპირველეს ყოვლისა: ტექსტზე, ავტორზე, კონტექსტზე თუ მკითხველზე ორიენტირებული მიდგომები.

თემურ კობახიძე (2015) ტომას ელიოტის შემოქმედებისადმი მიძღვნილ თავის წიგნში აღნიშნავს, რომ „თანამედროვეობისათვის თვით შექსპირის შემოქმედება სხვა არაფერია, თუ არა მის შესახებ დღეს არსებული ცოდნა, მისი თანამედროვე ინტერპრეტაცია, მისი დღევანდელი „წაკითხვა“, რაც ძალიან განსხვავდება შექსპირის დროინდელი აღქმისგან“ (გვ. 10). მართლაც, ნებისმიერი ეპოქის მხატვრული ტექსტის გააზრება მეტ-ნაკლებად ყოველთვის ატარებს მკითხველის მსოფლმხედველობისა და მისი თანამედროვეობის გავლენას. იგივე ელიოტი (Eliot, 1998, გვ. 57-58) შექსპირის „ჰამლეტს“ შემოქმედებით მარცხს უწოდებს, რადგან, მისი აზრით, ჰამლეტის ემოცია აჭარბებს მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. თემურ კობახიძე (2004) ელიოტის ამ ცოტა არ იყოს უცნაურ პოზიციას, მისი, როგორც მოდერნისტი ხელოვანის, ესთეტიკური ხედვის თავისებურებით ხსნის. იგი სრულიად მართებულად შენიშნავს, რომ კრიზისული ხანის მოდერნისტი ხელოვანისთვის, პაროდისტისა და სკეპტიკოსი ელიოტისთვის მიუღებელი აღმოჩნდა რენესანსული ჰუმანისტური მსოფლხედვის მთლიანობა და მაღალი პათოსი, „რომელსაც მისთვის ჰამლეტი განასახიერებდა“ (გვ. 41). აქედან გამომდინარე, ჰამლეტის ტრაგიკული განცდები ელიოტს გაზვიადებული ეჩვენება.

მეტ-ნაკლებად ყოველი მკითხველი საკუთარი ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობის საზომებითაც ზომავს სამყაროს, აფასებს მოვლენებს, იაზრებს ტექსტს. მაგალითად, ზიგმუნდ ფროიდი (1992, გვ. 367-368) ჰამლეტში ოიდიპოსის კომპლექს ხედავს, მაგრამ ჰაროლდ ბლუმი (1994, გვ. 376) მიიჩნევს, რომ ჰამლეტს არ აქვს ოიდიპოსის კომპლექსი, არამედ ფროიდს აქვს ჰამლეტის კომპლექსი.

შექსპირის „ჰამლეტის“ ინტერპრეტაციისადმი მიძღვნილ წიგნში ჰაროლდ ბლუმი (2009, გვ. 10) გამოთქვამს ვარაუდს, რომ ჰამლეტი, როგორც პერსონაჟი, ალბათ არის აზრის მოსვლის, მისი გამოგონებისა და ამოუწურაობის გამოხატულება.

ჰამლეტის რელატივისტური მსოფლმხედველობის გამომხატველი ცნობილი მოსაზრება, რომ „არათყვია თავისთავად კარგი ან ცუდი, არამედ ფიქრი აქცევს მას ასეთად“<sup>1</sup> (Shakespeare, 2003, გვ. 141) – ალბათ განსაკუთრებით კარგად მიესადაგება მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის სუბიექტურ და ფარდობით ფენომენს.

ტექსტის ინტერპრეტაციის რეალურ შესაძლებლობას მთლად ეჭვქვეშ აყენებს აბსურდის ლიტერატურა, რომლისთვისაც ადამიანის ყოფიერების საზრისი გაუგებარია, სამყარო – აუხსნელი, სიტყვები და ტექსტი – ორაზროვანი. სამუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ამ თვალსაზრისით. პიესა ურთიერთგამომრიცხავი ინტერპრეტაციის მრავალ შესაძლებლობას იძლევა, რაც მის მაღალმხატვრულ ღირებულებაზე შეიძლება მიანიშნებდეს, მაგრამ საბოლოო ჯამში, მისი გააზრების ყოველგვარ მცდელობას არსად მივყავართ, და თუკი მაინც გვეგონება, რომ სადმე მივყავართ, – ამაზე ბეკეტი უეჭველად ასე მოგვიგებდა: ეგ არ მიგულისხმია.

როგორ უკვე აღინიშნა, ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაციისთვის გამოიყენება ტექსტზე, ავტორზე, კონტექსტზე და მკითხველზე ორიენტირებული მიდგომები. შეიძლება დავსვათ კითხვა: რომელი მიდგომაა მხატვრული ტექსტის მართებული ინტერპრეტაციის საქმეში ამ ოთხიდან ყველაზე სანდო და ამდენად, უპირატესი? მოკლე პასუხი ამაზე იქნება: ალბათ მეტ-ნაკლებად ოთხივე მიდგომა. შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ თითოეული მიდგომის მართებულობა.

ტექსტზე ორიენტირებული მიდგომა რომ ძალზედ მნიშვნელოვანია – ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. თუ, ვთქვათ, რომელიმე კონკრეტული ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაციაზე ვისაუბრებთ, მის გაგებასა და გააზრებაზე, მაშინ ამ ტექსტის მახასიათებლების უგულებელყოფა ლოგიკურად განგვაშორებს მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის პროცესს, ან სულ ცოტა, დააკნინებს მის ხარისხს. აქ ბუნებრივად დაისმის კითხვა: ნამდვილად ტექსტის ინტერპრეტაციაა ჩვენი მიზანი? და თუ ტექსტის არა, მაშინ რის ინტერპრეტაციას ვცდილობთ ამ ტექსტის მეშვეობით, თან ისე, რომ წარმოდგენა არ გვაქვს ჩვენ მიერ წაკითხული ლიტერატურული ნაწარმოების შიდატექსტობრივ ასპექტებზე? ავტორის

<sup>1</sup> თარგმანი ეკუთვნის სტატიის ავტორს – ი.პ.

ჩანათიქრის ინტერპრეტირებას ვცდილობთ? მისი მსოფლმხედველობის? მისი ცხოვრების? ან იქნებ ნაწარმოების ეპოქალური კონტექსტის, მისი ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური წანამძღვრების? თუ ჩვენი, როგორც მკითხველის, მიზანია მხოლოდ საკუთარი სუბიექტური შთაბეჭდილებები ესთეტიკური განცდები და პირადი აზრები ჩამოვიყალიბოთ ლიტერატურულ ნაწარმოებზე, რაც ძირითადად ნაკარნახევი იქნება ჩვენი განვლილი ცხოვრებითა და თანამედროვე ეპოქის ტენდენციებით და არა მოცემული მხატვრული ტექსტის ჯეროვანი გააზრებით? ცხადია, ტექსტზე ორიენტირებული მიდგომის გარეშე, სამივე დანარჩენი მიდგომა, იქნება ეს ავტორზე, კონტექსტზე თუ მკითხველზე ორიენტირებული, გარკვეულწილად დაკარგავს ეფექტურობას.

ავტორზე ორიენტირებული მიდგომა რომ ასევე მნიშვნელოვანია, ესეც ფაქტია. ავტორის გარეშე ზოგადად ტექსტი არ იქმნება, ხოლო რა და როგორი ტექსტი შეიქმნება, ამას განსაზღვრავს, ვინ არის ავტორი. ავტორის ჩანათიქრის უგულვებლყოფა, მის ძიებაზე უარის თქმაც არ ეგების, რადგან ჩანათიქრის გარეშე, წარმატებული მხატვრული ტექსტი, ჩვეულებრივ, ვერ იქმნება და მისი შექმნის მოტივაციაც ერთობ სუსტია ხოლმე. ჩანათიქრი, ამ შემთხვევაში, არის ის აზრი, რაც ჩაღო ავტორმა ტექსტში, რათა მკითხველმა გაიაზროს, ანუ ის, თუ რას გულისხმობს ავტორი თავისი ტექსტის ცალკეულ ნაწილებში, ისევე როგორც, რისი თქმა უნდა მას მთლიანობაში მკითხველისთვის. ავტორის ჩანათიქრის მიგნება მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის ის განსაკუთრებული ვარიანტია, რომელსაც ალბათ ყველაზე მეტად ისურვებდა ავტორი მკითხველისგან. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შედგებოდა ნამდვილი შემოქმედებითი დიალოგი ავტორსა და მკითხველს შორის. როგორი იქნება ავტორის ჩანათიქრი, დამოკიდებულია მის პიროვნებაზე, მსოფლალქმაზე, ესთეტიკურ ხედვაზე, მის განვლილ ცხოვრებაზე. აქედან, პირდაპირ ჩანს ავტორზე ორიენტირებული მიდგომის საჭიროებაც მხატვრული ტექსტის ხარისხიანი ინტერპრეტაციისთვის.

ავტორის ცხოვრებასა და ხედვას, თავის მხრივ, დიდწილად განსაზღვრავს ის დრო-სივრცული კონტექსტი, რომელშიც იგი მოღვაწეობდა, რაც უკვე მიგვანიშნებს კონტექსტზე ორიენტირებული მიდგომის სარგებლიანობაზეც მხატვრული ტექსტის ინტერპრეტირებისას. ვერ უარვყოფთ იმასაც, რომ უმეტეს შემთხვევაში ლიტერატურული ტექსტები ასე თუ ისე ირეკლავენ თავიანთი ეპოქის სულისკვეთებას. კონტექსტზე ორიენტირებული მიდგომა, ამავე დროს, ზრდის მკითხველი ინტერპრეტატორის ისტორიულ-პოლიტიკურ, სოციოკულტურულ და რელიგიურ-ფილოსოფიურ თვალსაზრისს, გარდა იმისა, რომ მისი საშუალებით არაერთ მნიშვნელოვან ასპექტს შეიძლება მოეფინოს ნათელი კონკრეტულ მხატვრულ ნაწარმოებში.

დაბოლოს, არც მკითხველზე ორიენტირებული მიდგომაა უგულებელსაყოფი მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციაში. პრინციპში, საკუთრივ ტექსტი, ნებისმიერი წერილობითი ტექსტი, მათ შორის, მხატვრულიც ხომ თავისთავად მკითხველზეა ორიენტირებული და მკითხველის გარეშე, მის შექმნას აზრიც არ ექნებოდა, ვინაიდან სწორედ მკითხველია ის, ვინც ტექსტის ინტერპრეტირებას ახდენს. მკითხველზე ორიენტირებული მიდგომა საგულისხმოა იმ მხრივაც, რომ იგი რამდენადმე ირეკლავს მკითხველის თანამედროვე ეპოქის სულისკვეთებას, ანუ აქ შემოდის ისევ კონტექსტური მიდგომის მსგავსი, ოღონდ ორიენტირებული არა მხატვრული ნაწარმოების კონტექსტზე, არამედ მისი მკითხველის კონტექსტზე. ცხადია, სანამ ნაწარმოები თანამედროვეობას განეკუთვნება, ეს ორი კონტექსტი გარკვეულწილად ემთხვევა ერთმანეთს.

ამრიგად, აშკარაა, რომ ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტირების ოთხივე ძირითადი მიდგომა ღირებულია და ერთმანეთთან კომბინაციაში ისინი ალბათ უკეთეს შედეგებსაც მოგვცემენ.

დღევანდელი თანამედროვეობა აშკარად უპირატესობას ანიჭებს კონტექსტზე, უფრო ზუსტად, თანამედროვე კონტექსტზე ორიენტირებულ მეთოდს, თუნდაც საქმე ეხებოდეს საუკუნეების წინანდელ ტექსტს. ეს კი უფრო ხშირად ერთგვარი კომენტარი გამოდის თანამედროვეობაზე, ვიდრე მხატვრული ტექსტის რეალური ინტერპრეტაცია.

დღევანდელითა ასევე ორიენტირებულია, ვთქვათ, შექსპირი ამოგლიჯოს თავისი კონტექსტიდან და ჩასვას თანამედროვე კონტექსტში. შეიძლება, ერთი მხრივ, საინტერესო იყოს შეხედო შექსპირს თანამედროვე კონტექსტის გადმოსახედიდან, მაგრამ მეორე მხრივ, ასეთი მიდგომა ართულებს ხარისხიან ინტერპრეტაციას და ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ რაზეც თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკა წერს და ლაპარაკობს, ის საერთოდ აღარც არის ნამდვილი შექსპირი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი ინტერპრეტაცია მეტწილად არასწორ ინტერპრეტაციაში გადადის და ნაკლებად ემსახურება იმის აღმოჩენასა და გააზრებას, რაც აქამდე დათარული იყო ტექსტში.

გარდა ამისა, ხშირად აღრეულია ერთმანეთში მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია და მისი კრიტიკული შეფასება. არადა, სასურველია, ეს ორი რამე ერთმანეთში არ აღირიოს, არამედ ლიტერატურული ტექსტის შეფასებამდე, ჯერ მისი რიგიანი ინტერპრეტაცია მოხდეს, რათა შემდეგ მისი შეფასებაც უფრო კომპეტენტური გამოვიდეს.

მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინებაც. ეს, ცხადია, ტექსტზე ორიენტირებული მიდგომის შემადგენელი ნაწილია. ამ მიდგომის დანიშნულებაა ისიც, რომ მხატვრული ტექსტი განასხვავოს არამხატვრულისგან, ეს უკანასკნელი

თავის მხრივ დაყოს სხვადასხვა კატეგორიის ტექსტებად: რელიგიური, ფილოსოფიური, სამეცნიერო, იურიდიული, სამედიცინო და სხვა. კონკრეტული ტექსტის ინტერპრეტაციისთვის შერჩეული მეთოდოლოგიური მიდგომების ვარგისიანობა დიდად არის დამოკიდებული იმ სფეროს სპეციფიკის ჯეროვნად გათვალისწინებაზე, რომელსაც ეს ტექსტი განეკუთვნება. მაგალითად, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ტექსტებისთვის მოინახება საერთო ჰერმენევტიკული მეთოდები, თუმცა ეს სულაც არ არის საკმარისი ამ ტექსტების მართებულად გააზრებისთვის. აუცილებელია ამ ორი სამეცნიერო განხრისთვის არასაერთო, განსხვავებული მეთოდების გამოყენებაც. ამდენად, თანამედროვე ჰერმენევტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი – შეიმუშავოს ყოველგვარი ტექსტისთვის საერთო ჰერმენევტიკული მეთოდოლოგია – საღ აზრს მოკლებულია: იმ აზრს, რასაც ჰქვია ტექსტში ჩადებული აზრი სწორად გააზრება.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ღვთის სიტყვა, წმიდა წერილი, რომელიც სულიწმიდით შთაგონებულ ქრისტეს წინასწარმეტყველთა (ძველი აღთქმა) და ქრისტეს მოციქულთა (ახალი აღთქმა) მიერ დანერგილი ტექსტია. ბიბლიის ტექსტში მუდამ საძიებელია ის აზრი, რაც ღმერთმა, როგორც უზენაესმა ავტორმა, ჩაღ მასში. ეს ურთულესი ამოცანა კი თანამედროვე ჰერმენევტიკის შესაძლებლობებს (და ალბათ მიზანსაც) სცდება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჰერმენევტიკა არსებითად ადამიანურ შემეცნებას ეყრდნობა, ღვთის სიტყვა კი სწორად შემეცნება მხოლოდ ღვთის მაღლითა და შეწევნით, რის მოპოვებასაც, თავის მხრივ, თავისი აუცილებელი სულიერი წინაპირობები აქვს. სწორედ ღვთისაგან ბოძებული, ასე ვთქვათ, ზეჰერმენევტიკული მჭვრეტელობაა საჭირო ზეციური წარმომავლობის ღვთიური ტექსტის შესამეცნებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ წმიდა წერილში სწორად წვდომას თავისი უსასრულო სიღრმეები და სიმალლეები აქვს. ეს არის შემეცნების გზა, რომელიც, თუ სწორადაა წარმართული, მუდამ ახალ და უფრო ღრმა აზრებს გიხსნის და თანაც ისე, რომ არასდროს წინააღმდეგობაში არ მოღის შემეცნების ადრეულ ეტაპებთან, არამედ ავსებს, აფართოებს, ზრღის და ამღიდრებს უკვე შემეცნებულს.

თანამედროვე ჰერმენევტიკამ ჯერ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს, ზუსტად რას გულისხმობს *ინტერპრეტაციის* ცნებაში: 1) გააზრებას, აზრში წვდომას, ნაგულისხმევი მნიშვნელობის სწორად შემეცნებას, თუ 2) თავისებურ გაგებას, გადააზრებას, ახლი მნიშვნელობის მიცემას. სემანტიკურად, პირველი მნიშვნელობა სიტყვა „ინტერპრეტაციის“ იმ უმთავრეს მნიშვნელობას უკავშირდება, რაც არსებითად გულისხმობს ახსნა-განმარტებას, ეგზეგეტიკას, რაც წესით ჰერმენევტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა; მეორე მნიშვნელობა კი აშკარად სიტყვა „ინტერპრეტაციის“ იმ მნიშვნელობას უკავშირდება, რაც გულისხმობს თავისებურ შესრულებას მუსიკალური ნაწარმოებისა, სამსახიობო როღისა თუ სხვა. როგორც ჩანს,

თანამდგომარეობაში ჰერმენევტიკა ხშირად სწორედ სიტყვა „ინტერპრეტაციის“ ამ მეორე მნიშვნელობის სემანტიკურ გავლენას განიცდის, და სხვა მიზეზებთან ერთად, ამ მიზეზის შედეგადაც ამრუდებს თავის მეთოდოლოგიურ მიდგომებს.

ტექსტის ინტერპრეტაციაზე საუბრისას აქამდე არსებითად იგულისხმებოდა წერილობითი სიტყვა, მაგრამ ტექსტად შეიძლება გავიაზროთ არა მხოლოდ წერილობითი, არამედ ზეპირი დისკურსიც. ზეპირსიტყვიერ ლიტერატურას სწორედ რომ ზეპირი მხატვრული ტექსტები შეადგენს. თუმცა ტექსტი შესაძლოა არც წერილობითი იყოს და არც ზეპირი. ასეთი ტექსტია ადამიანის ფიქრები, შინაგანი მონოლოგი, ცნობიერების ნაკადი, რაც ასახვას ჰპოვებს მხატვრულ ლიტერატურაშიც. წერილობითი და ზეპირი ტექსტისგან განსხვავებით, შინაგანი ტექსტის ინტერპრეტაციის შესაძლებლობა მხოლოდ მის ავტორს აქვს, თუკი საკუთარ ფიქრებს დაუკვირდება. ხოლო გულთამხილავმა ღმერთმა სრულყოფილად იცის ყოველი მისი ცოცხალი ქმნილების ყველა ფიქრი, მათ გაფიქრებამდეც კი. ამიტომაც გვაფრთხილებენ ქრისტიანული ეკლესიის მამები, ვუფრთხილდეთ საკუთარ აზრებს, რადგან აზრები ზეცაში ისმის.

შინაგანი ტექსტის განსაკუთრებულ სახედ შეიძლება ჩაითვალოს სიტყვები, რომელსაც ადამიანი ამბობს ან ეუბნებიან მას სიზმარსა თუ ხილვაში. ასეთი ტექსტი ერთი მხრივ, უკავშირდება ადამიანის არაცნობიერსა თუ ქვეცნობიერს, მეორე მხრივ კი, ტრანსცენდენტურ სამყაროს. ამგვარი ტექსტის თვალსაჩინო მაგალითს იძლევა პირველი ძველი ინგლისელი პოეტის, კედმონის შესახებ გადმოცემა, რომლის თანახმადაც, ნორთუმბრიელ ძროხების მწყემს კედმონს, რომელმაც სიმღერა არ იცოდა, ძილში ეცხადება უცნობი კაცი, რომელიც მოუწოდებს მას, შესაქმის დასაწყისზე იმღეროს. კედმონი სასწაულებრივად იწყებს სიმღერას ისეთი პოეტური ტექსტით, რომელიც მანამდე არასოდეს სმენია. როცა გაიღვიძებს, მას მკაფიოდ ახსოვს სიმღერის ტექსტი. ეს შინაგანი პოეტური ტექსტი ზეპირ ტექსტად იქცევა, როდესაც კედმონი მას მონასტრის წინამძღვარს ეტყვის, ხოლო მოგვიანებით – წერილობით ტექსტად, რომელსაც ჩვენ „კედმონის ჰიმნის“ სახელით ვიცნობთ.

პერსონაჟის შინაგანი მონოლოგი, მისი ფიქრები ვერ ჩაითვლება შინაგანი ტექსტის რეალურ მაგალითად. ის მხოლოდ ჭეშმარიტი შინაგანი ტექსტის მხატვრული სიმულაციაა წერილობითი ტექსტის მეშვეობით. თუმცა შინაგანი ტექსტის ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში ცხადყოფს ამგვარი ტექსტის არსებობასა და მნიშვნელოვნებას ადამიანის ყოფიერებაში, რაც ყველაზე კარგად ალბათ ლიტერატურულმა მოდერნიზმმა წარმოაჩინა.

შინაგანი ტექსტი ადამიანის ცნობიერების ფუნდამენტური და განუყოფელი ნაწილია. ის ყველაზე ახლოსაა ადამიანის სულთან და მისი შინაარსი პირდაპირ მიანიშნებს პიროვნების სულიერ მდგომარეობაზე. შინაგანი ტექსტი ცოცხალი პროცესია, რომელიც მუდმივად თან ახლავს ადამიანის ყოფიერებას. ზეპირი თუ

წერილობითი ტექსტიც ადამიანის შინაგან ტექსტს ეფუძნება და მის გარეშე ვერც იარსებებს. შინაგანი ტექსტი გამოარჩევს ადამიანს, როგორც ღვთის ხატს, ყველა სხვა ცოცხალი არსებისგან ამქვეყნად. პირუტყვი არ მეტყველებს, რადგან მასში არ არის შინაგანი ტექსტი.<sup>2</sup> გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ კაცობრიობის ისტორიაში შინაგანი ტექსტების რაოდენობა მრავალჯერ აღემატება ზეპირი ტექსტების რაოდენობას, რომელიც, თავის მხრივ, მრავალჯერ აღემატება წერილობითი ტექსტების რაოდენობას.

ტექსტის ინტერპრეტაციის პრობლემატიკაში გარკვეული სინათლის შეტანა ასევე შესაძლებელია, თუკი მას განვიხილავთ ადამიანის ბუნებრივი ენის მთავარი ანუ საკომუნიკაციო ფუნქციის შუქზე. მაგალითად, დიალოგის დროს ჩვენ გვინევს ჩვენი თანამოსაუბრის ტექსტის ინტერპრეტაცია. რაზე ვართ ჩვენ ამ დროს ჩვეულებრივ ორიენტირებულნი? ტექსტზე, ავტორზე, კონტექსტზე თუ მკითხველზე/მსმენელზე<sup>3</sup>? რა თქმა უნდა, ჩვენი ყურადღება, პირველყოვლისა, მიმართულია იმის გაგებისკენ, თუ რა მნიშვნელობა ჩადო, რა იგულისხმა ჩვენმა თანამოსაუბრემ (ტექსტის ავტორმა) თავის ნათქვამში. ტექსტზე ორიენტირებულნი ვართ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მის სწორად გააზრებას მივყავართ ავტორის (თანამოსაუბრის) მიერ ნაგულისხმევ მნიშვნელობასთან. კონტექსტსაც ვაკვირდებით, რათა ისევე და ისევე გაგვიადვილდეს ტექსტში ავტორის აზრის სწორად ამოცნობა.

როცა დიალოგში ჩვენს ტექსტს ვეუბნებით თანამოსაუბრეს, მაშინ რა არის ჩვენი საკომუნიკაციო მიზანი? რა თქმა უნდა, ის, რომ ჩვენი ტექსტის მსმენელმა/მკითხველმა ზუსტი დეკოდირება მოახდინოს იმ აზრისა, რომლის კოდირებაც მოვახდინეთ ჩვენს ტექსტში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ გვსურს, რომ ჩვენთან დიალოგში ჩვენი თანამოსაუბრეც ტექსტის ავტორზე ორიენტირებული ინტერპრეტატორი იყოს. თუ იგი მსმენელზე/მკითხველზე (საკუთარ თავზე) ორიენტირებული ინტერპრეტატორი იქნება, მაშინ დიდი ალბათობით არასწორ ინტერპრეტაციას გაუკეთებს ჩვენს ტექსტს, ანუ ააგებს საკუთარ აზრს მასზე, რაც აცდენილი იქნება ამ ტექსტში ჩვენ მიერ ჩადებულ აზრს. ცხადია, რაც უფრო მეტად ეყრდნობა დიალოგში მონაწილე პირი მსმენელზე/მკითხველზე (საკუთარ თავზე) ორიენტირებულ ინტერპრეტაციას, მით უფრო რთული ხდება ასეთ პირთან კომუნიკაციის დამყარება.

თუ ორი ადამიანის დიალოგს შევესწარით, მათი ტექსტების გააზრებაში, ბუნებრივია, გვეულისხმობთ იმ აზრების წვდომას, რაც ჩადეს მათ (ავტორებმა)

---

<sup>2</sup> თუთიყუშის „მეტყველება“ მხოლოდ ხმაბაძვავა, გაგონილი ნათქვამის გამეორებაა, იმავე სიტყვებით გამოთავრებაა. მას არ შეუძლია წარმოქმნას ახალი და აზრიანი ტექსტი, ვინაიდან მასშიც, ისევე როგორც ყველა სხვა პირუტყვი, არ არსებობს შინაგანი ტექსტი.

<sup>3</sup> მკითხველზე/მსმენელზე ორიენტირება, ამ შემთხვევაში, გულისხმობს საკუთარ თავზე ორიენტირებულ ინტერპრეტაციას, ანუ როცა სხვის ტექსტს ვიზრებთ ისე, როგორც ჩვენ გვსურს, და ნაკლებად გვაინტერესებს, რა იგულისხმა ტექსტის ავტორმა.

თავიანთ ტექსტებში, და არა იმას, თუ როგორ გაიგეს მათ ერთმანეთის ტექსტები. დიალოგის დროს ტექსტში აზრს მისი მოქმედი დებს, მის თანამოსაუბრე მსმენელს კი გამოაქვს აზრი ამ ტექსტიდან სწორად ან არასწორად.<sup>4</sup> ეს გარემოება მხატვრულ ტექსტთან მიმართებაშიც გასათვალისწინებელია. ტექსტს აუცილებლად ავტორი ქმნის და აზრსაც მხოლოდ ის დებს მასში. მკითხველი სხვის ტექსტში (იმამში, რაც თავად არ შეუქმნია) ვერ ჩადებს აზრს. მას მხოლოდ შეუძლია გამოიტანოს აზრი ამ ტექსტიდან. ავტორისგან კონტექსტუალურად, ისტორიულად თუ ენობრივად დაშორებულმა მკითხველმა შეიძლება სწორად ვერც გამოიტანოს აზრი მისი ტექსტიდან, არამედ თავისი აზრები მიანეროს ამ ტექსტს, და ისიც კი ეგონოს, რომ ავტორმა სწორედ ასე იგულისხმა. ცხადია, ეს უფრო ტექსტის ინტერპრეტაციის ილუზია იქნება, ვიდრე მისი ჭეშმარიტი ინტერპრეტაცია.

განხილულ პრობლემათიკასთან მიმართებაში იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, ერთგვარი იერარქია ავტორს, ტექსტსა და მკითხველს შორის. ამ იერარქიაში ავტორი ყველაზე მაღლა დგას, რადგან ის არის შემოქმედი ტექსტისა, ის არის წყარო, რომლისგანაც გამოდის ტექსტის ფორმაცა და შინაარსიც. შუალედური ადგილი უკავია საკუთრივ ტექსტს, რომელიც ავტორმა შექმნა და ელოდება მკითხველისგან ნაკითხვას. ხოლო ყველაზე დაბლა დგას მკითხველი, რომელმაც უნდა გაიზაროს ტექსტი. სად არის ამ იერარქიაში კონტექსტის ადგილი, ეს რთული სათქმელია, მაგრამ ტექსტის მართებული ინტერპრეტაციისათვის ავტორის კონტექსტს მკითხველის კონტექსტზე უპირატესი მნიშვნელობა რომ უნდა მივანიჭოთ, ეს კი ცხადია.

დაბოლოს, უნდა აღნიშნოს, რომ გლობალისტური ნარატივები და დისკურსი დიდ პროპაგანდისტულ გენოლას ახდენს დღეს ადამიანის ცნობიერებაზე, მის მსოფლალქმეზე, მათ შორის თანამდებროვე მხატვრული ტექსტების შინაარსსა და ფორმაზე, ისევე როგორც მათ ინტერპრეტაციაზე. არადა, ინტერპრეტაცია პასუხისმგებლობაა უზენაესი შემოქმედის წინაშე, თვით მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციაც, და მით უფრო, წმიდა წერილისა – ღვთიური ტექსტისა.

## ლიტერატურა

---

<sup>4</sup> ცხადია, ტექსტის მოქმედისა და მისი მსმენელის როლებს მუდმივად ცვლიან ერთმანეთში დიალოგის მონაწილენი.



- კობახიძე, თ. (2004). „ჰამლეტი, მისი პრობლემები“ და ტომას ელიოტის პოეტური მსოფლალემა. ჰამლეტი 400. თბილისი, 17-19, 2001. ნინო ქირია. რედ. თბილისი: საერთაშორისო ფონდ ვაკუასიის გამომცემლობა.
- კობახიძე, თ. (2015). ტომას ელიოტი და მაღალი მოდერნიზმის ლიტერატურული ესთეტიკა. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- Bloom, H. (1994). *The Western Canon: The Books and School of the Ages*. New York: Harcourt Brace & Company.
- Bloom, H. (2009). *William Shakespeare's Hamlet*. New York: Bloom's Literary Criticism.
- Eliot, T.S. (1998). *The Sacred Wood and Major Early Essays*. Mineola, New York: Dover Publications.
- Freud, S. (1992). *The Interpretation of Dreams*. Ed. Angela Richards. The Penguin Freud Library. Vol. 4. Translated by James Strachey. London: Penguin.
- Shakespeare, W. (2003). *Hamlet, Prince of Denmark*. Ed. Philip Edwards. 2nd ed. New Cambridge Shakespeare. Cambridge: Cambridge University Press.